საქმის № 2/28296-17

11337542213444

განჩინება

საქართველოს სახელით
კრედიტორად აღიარების შესახებ

(ამონაწერი სხდომის ოქმიდან)

17 დეკემბერი 2025 წელი ქ.თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - თინათინ ეცადაშვილი
სხდომის მდივანი - ნატო ხელაშვილი

განმცხადებელი - მოვალე - ინდივიდუალური მეწარმე ფარვანა იუსუბოვა (საიდენტიფიკაციო ნომერი 28001030517)
წარმომადგენელი - ზვიად გადელია

გაკოტრების მმართველი - აღსრულების ეროვნული ბიურო
წარმომადგენლები - ლევანი პარუნაშვილი, სალომე ამნიაშვილი

"გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოსამართლე უსმენს მეურვეს, მხარეებს და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით გამოაქვს განჩინება კრედიტორის მოთხოვნების აღიარების ან უარყოფის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, იმ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომ გაკოტრების მმართველის წარმომადგენელი ლევან პარუნაშვილი დაეთანხმა განმცხადებლის**შპს „სავანეთი 99"-ის** მოთხოვნას კრედიტორად აღიარების შესახებ 8893.31 ლარის ნაწილში, მე-7 რიგში, სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია.

სასამართლომ იხელმძღვანელა "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ"

საქართველოს კანონის მე-7, მე-8, 29-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. აღიარებულ იქნას კრედიტორად **შპს „სავანეთი 99“ ი/მ ფარვანა იუსუბოვას** გაკოტრების საქმეში 8 893.31 ლარის ნაწილში, მე-7 რიგში,

2. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში (ვებ-გვერდზე www.ecourt.ge) მისი გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, №64). ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

მოსამართლე **თინათინ ეცადაშვილი**